სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის 2013 წლის ,, 25.11 “

№151/01-01 ბრძანების

დანართი N1

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთა განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმი (შემდგომში - ,,ფორუმი”) იმართება მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით.

2. ფორუმზე მოსასმენად თითოეული ფაკულტეტიდან ფაკულტეტის საბჭოს მიერ შეირჩევა სამი (ერთი ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის, ერთი მაგისტრატურის და ერთი დოქტორანტურის) სტუდენტის - საუკეთესო სამეცნიერო მოხსენება. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტის მოხსენება უნდა ეფუძნებოდეს სამეცნიერო შედეგებს, რომლებიც ასახულია წინა წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში, ან მოსმენილია წინა წლის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე და ფაკულტეტის საბჭო მიიჩნევს საუკეთესოდ. დოქტორანტის სამეცნიერო მოხსენება უნდა ეფუძნებოდეს სამეცნიერო შედეგებს, რომლებიც ასახულია წინა წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომში. მოხსენების ავტორები ან ავტორთა ჯგუფები უნდა იყვნენ მოცემული ფაკულტეტის სტუდენტები.

3. ფორუმი ტარდება ყოველწლიურად, აპრილის თვეში. ზუსტი რიცხვი დგინდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 2. მოხსენების წარდგენა და შერჩევა

1. ფორუმში მონაწილეობისათვის განაცხადს შესაბამის ფაკულტეტზე წარადგენს უნივერსიტეტის სტუდენტი, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ან/და უნივესიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირის წერილობითი რეკომენდაციით. სტუდენტმა განაცხადში უნდა მიუთითოს თავისი და სხვა თანაავტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამეცნიერო წვლილი. მოხსენების წარდგენის ბოლო ვადაა ყოველი წლის 28 თებერვალი.

2. ფორუმზე წარსადგენი მოხსენებების შერჩევას ღია კენჭისყრის გზით დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით ახდენს ფაკულტეტის საბჭო.

3. ფაკულტეტის საბჭოს მიერ ფორუმზე წარსადგენი მოხსენებები უნდა შეირჩეს ყოველი წლის არაუგვიანეს 1 აპრილისა.

4. ფაკულტეტის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ საბჭოს ის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ ფორუმში მონაწილეობის უფლების მიღების პრეტედენტებს, ან/და პრეტენდენტების სამეცნიერო ხელმძღვანელებს, ან რეკომენდატორებს.

მუხლი 3. ფორუმში მონაწილეობაზე კონკურსის გამოცხადების წესი

1. ფორუმში მონაწილეობაზე კონკურსი შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ ცხადდება ყოველწლიურად, არაუგვიანეს 31 იანვრისა.

2. განცხადება კონკურსის გამოცხადების თაობაზე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გაზეთში ,,თბილისის უნივერსიტეტი”.

მუხლი 4. ფორუმში მონაწილეთა დაჯილდოება

1. ფორუმში მონაწილე მოხსენების ავტორ(ებ)ს გადაეცემა(თ) ფორუმში მონაწილის სერტიფიკატი.

2. წამახალისებელი თანხა თითოეული მომხსენებლისთვის შეადგენს:

ა) დოქტორანტისათვის 1 500 ლარს;

ბ) მაგისტრანტისათვის 1 000 ლარს;

გ) ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის 500 ლარს.

3. საპრემიო თანხა გადაეცემა მოხსენებების ავტორებს, ან ავტორთა ჯგუფებს.